

# ბიჭები

572  
1985





**შესვივალის ეპიკაა,  
შესვივალის თილისა  
და... ბავშვები**

დახედეთ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა მსოფლიო ფესტივალების ემბლემას. იქნებ ზოგმა არც კი იცით, რომ ეს ხუთფურცლიანი გვირილა დედამიწის ხუთი კონტინენტის ახალგაზრდების ერთიანობის სიმბო-

ლოა, ხოლო გვირილის გულში გამოსახული მტრედი—მათი სამშვიდობო გულჩინების გამოხატულება.

1947 წლის შემდეგ ახალგაზრდობისა და სტუდენტთა აი უკვე XII მსოფლიო ფესტივალის ტარდება; და თუმცა ყველა მათგანს თავ-თავისი დევიზი ჰქონდა, ერთი რამ თორმეტივე დევიზში უცვლელი იყო—ბრძოლა მშვიდობისათვის, ომის წინააღმდეგ! მშვიდობა კი სისხლხორცეული საჭიროებაა, უწინარეს ყოვლისა, ბავშვებისათვის.

იქნებ ამიტომ არის, რომ XII, მოსკოვის ფესტივალის თილისმად პატარა გოგონას გამოსახულება შეურჩევიათ. „კატიუსას“ საფესტივალო გვირილასავით ახურავს თავზე რუსული თავსაბურავი—„კოკოშნიკი“, ტანთ წითელი—საბჭოეთის დროის ფერი სარაფანი აცვია, გულზე მშვიდობის თეთრი მტრედი მიუხუტებია და კეთილი, ნათელი, ნლობით სავსე ღიმილით შესტეგრის სამყაროს. განა შეიძლება ამ ნლობის გაცრუება, ამ ღიმილის ჩაქრობა, ამ სიკეთის დათრგუნვა!

დღეს „კატიუსა“ მასპინძელია—მსოფლიოს ახალგაზრდების, სტუდენტების და... ბავშვებისაც. 1957 წლის, \1 ფესტივალიდან მოკიდებული ხომ ყველა ფესტივალში მონაწილეობენ ბავშვებიც, ყველა ფესტივალშია ჩართული საბავშვო პროგრამები. აი ახლაც, XII-ზე, მოსკოვთან ბავშვთა საფესტივალო ბანაკია გახსნილი. აქ ერთმანეთს ხედებიან საბჭოთა და უცხოელი პიონერები; უამბობენ ერთმანეთს თავიანთ საქმეებზე, აცნობენ ერთმანეთის შემოქმედებას... აი, კუბელ ბავშვებს შეგობრობის პარკი გაუშენებიათ, ჩეხოსლოვაკიელ, უნგრელ, პოლონელ, საბჭოთა, ბულგარელ, ავსტრიელ ბავშვებს—მანოიში ბავშვთა საავადმყოფოს ასაშენებელი სახსრები მოუპოვებიათ.

აი ჩვენი, ქართული ანსამბლი „მზიური“ გამოდის თანატოლების წინაშე...

მზე და ვარდისფერობა იშლება დედამიწაზე...





მხატვარი ვია ლავაური

# ბოსო და გვანცა



საქ. სსრ კ. მარქსის  
სახ. სობ. რეპუბ.  
ბიბლიოთეკა



მეთევან ზილაშვილი

## კახი

სერებს იქით მზე ამოინფერება თუ არა, ვატო და მისი ჩოკინა, რომელსაც ის სიყვარულით „დიდყურას“ ეძახის, ბანარა ბილიკით ლელეში ჩადიან, ლელე ისე ბრწყინავს, თითქოს ოქროსცვარიაო. შეტოპავს დიდყურა ლელეში და ჟრიალით ელის, როდის შეასხურებს ვატო ნყალს, რომ ჯანში სიმხნევე ჩაუდგეს.

— ისე უნდა გაგღვრიჭო, ისე, ისე! — ხელებს იკაპინებს ვატო, და გაუდის ლელეს შხაპა-შხუკი.

დიდყურა სიამოვნებისაგან ხან წინა ფეხებს აბაკუნებს, ხან უკანას. ყურებს ათამაშებს. თვალეზე ცინცხლების მიპყურებისას აღტაცებით ყროყნებს კიდევ. მართალია, დიდ ხმაზე არა, მაგრამ ჯერ დააცათ...

— გეყოფა, კმარა! — დრო იცის ვატომ, არ შესცივდესო. მზეც უმაღ უმშრალებს თვა-

ლებს, ყურებს, უთბობს გვერდებს. ხაამო ნო/ ავი ბალანს ვარცხნის. აბა, შეხედეთ რა ლა- მაზია! იტიყით, ნეტავ თვალი მომცა და შა/ ყურებიჩაო.

— დიდყურ, ცოტა დაისვენე, მე ახლავე ბალანს დაგიგლეჯავ. — ვატომ ზურგზე გადაუსვა ხელი და სიმწვანეს შეერია.

იდგა დიდყურა მშვიდად. თვალი ჯერ ლელის კენჭებზე გაუსტერდა, მერე ტალღებს გააყოლა, უცებ ხარაბუზამ ჩაუბზულია და ყურისძირში ისეთნაირად დააცხრა, სიმწრისაგან თვალებიდან ნაპერწკლები გადმოსცივიდა. დიდყურამ, ვითომც არაფერი მომხდარაო, ნირი არ შეიცვალა. ტბორა თვალეშილა გამოეხატა ტკივილი.

— შეხეთ, ყურსაც არ იბერტყავს, ავდგები და ახლა ლაბაბზე ჩაუფრინდებიო... — ხარაბუზამ ცუცები ფოთოლზე გაუსვ-გამოუსვა და ეძგერა.

დიდყურამ ისეთი ტლინკები ჰყარა, რომ ქაჩაჩებიდან დაცივიწულმა ნაპერწკლებმა ხარაბუზას ფრთები შეუტრუსა. დიდყურამ კი, რაკი გული მოიოხა, ლელესწყალს დაენაფა.

უფრთო ხარაბუზამ ბალახში იგორა, იგორა, იბახა: „ვაი, ვუიო“, მერე რომელიღაც ჩიტმა ნისკარტი დაჰქრა და ყელი ჩაიკოკლოზინა.

სად არის ამდენხანს ვატო? — მოიწყინა დიდყურამ. ამ დროს ვატოც გამოჩნდა და ერთი ილია ბალახი მოართვა, დილის ნაში ჯერაც არ შემორობდა. დიდყურამ პირი არ დააკარა, ხარაბუზასთან ჭიდილით ჯერაც თავბრუდახვეული იდგა.

— ბუტე, ბუტეო. — მიეფერა ვატო. — ლელესწყალი თავქვეზე ისე საამოდ მილიკელიკებდა, ყური ველარ მოვწყვიტეო. — მოუბოდიშა მერე.

ჩემზე დიდი ყურები ვისა აქვს, ქვეყანა დიდყურას სახელით მცნობს, მაგრამ ყურს როგორ დავებონები, უსულო ლელემ სულიერი არსება უნდა დაავინყოსო? — სადღაც, შორს, შორს, გულის კუნჭულში გაიფიქრა ჩოკინამ.

— შენ ლელესწყალი უსულო გგონიაო? — კიდევ უფრო მიეაფერს ვატო. — რაც ქვეყანაზე ზღაპრებია, სულ ნაკადულეების ნაწურია.

შეება ჩოკინა, გეთაყვა, ამ ბიჭის უჩუმრად ფიქრშიც ვერაფერს გამივლიაო. გულთმისანია ეს დღეგრძელი, ესა...

ვატო კი თავისას განაგრძობდა — აბა, გულისყური მიიპყარ, თუ არა! გულისყური, თორემ მაგ შენი თუნდაც დიდი ყურებით ვერაფერს გაიგებ. რამდენს დაგძახი „აცე, აცეს“, მაგრამ გაგონებ?

— რა ექნა, ჩვენ რა ხელწამოსაკრავები



გენახა, — დაიკვივტიენ ყურები, — დიხაც, საყურეთში ჩვენა ვართ მეფეებო. ნურაინ წამოგვძახებს სპილოსა, იმისი ჩამობურტყილი ყურები ჩვენთან რა სახსენებელია? ვეშაპი რომ ვეშაპია, იმასაც კი ყურის მსგავსი არაფერი გააჩნია, უჩინარი ხვრელებით უსმენს სამყაროსო. თუ ვინმე კურდღლის ყურებს მოგვითანს მთავართად, ნურას უკაცრაჲად, იმას დიდი კი არა, გრძელი ყურები აქვსო. „გადმომდგარა კურდღელი, ანკაპუნებს ყურებსაო“ — ნათქვამია. განა წკაპუნის სიდიდის მიმანიშნებელია? ან იქნებ ის ბიჭი მიგვიითონ, სიყვარულით „დიდყურას“ რომ ეძახდენ. ის აქ რა მოსატანია, ცოტა თავნება იყო, ყურებს უნევედნენ ხოლმე და იმიტომ შეარქვეს, ისიც ჩვენი პატივისცემით. ახლა ჭკუაში ჩაჯარდა და ისეთი ბიჭი დადგა, ვარსკვლავებს ეთამაშება. ყურების მხსებელს ცოტა რიდი მართებს. ვინმეს რამეს რომ დაანახებენ, „უყურეო“, ეუბნებიან. განა ეს არ არის ჩვენი უპირატესობის გამოხატულება თვალზეც კი?

ვატო კი თავისას ებასებოდა მეგობარს: თვალსა და ყურს გულისყურიც უნდა მიატანო, როგორც პურს ყველიო, ცარიელი გონების თვალი, თუნდაც ბრიალა, ვერაფერს ხედავსო. — თან ჩოკინას ზურგზე ხელს უსვამდა. რა თბილი ხელისგული ჰქონდა, რა სასიამოვნო!

მართლაც, ეს დალოცვილი გული, როცა გულობს, სადაც არ უნდა ბუდობდეს, მკერდში, ხელის მტევანსა თუ ნაჭურში, სიკეთით სავსეა! განა ერთი თბილისგული არ განანილდა ცხრა ძმას შორის!

ვატომ, წელან, ბალახს თბილის წვრილი წენელებიც მოაყოლა და ბუჩქს იქით დაყარა, ახლა კი ჩოკინა ჩრდილში გამოაბა, თვითონაც შორიახლო ჩამოჯდა და ლილინით წენელისაგან ქოჭის მოწინა დაიწყო. — უცებ უნდა გავახარო დიდყურაო.

განმარტოებულმა ჩოკინამ ისევ წელანდელ საუბარზე დაიწყო ფიქრი. ყველაფერი იქიდან წამოვიდა, გუშინ ფერდობზე რომ გავჯექიდით. ვატოს ეგონა ჩემი მოდგმის ხასიათი მომეძალა — „აცეო და აცეო“. მე კი ქაჩაჩში კენჭი მქონდა შეჭედელი, მტკიოდა, ფეხს ვერ ვადგამდი. მაგასა ჰგონია, ყურად არ ვიღე მაგისი შეძახილი. ჩოკინას ცრემლის კუნწულები გადმოსცვივდა. თუ ასეა, თვითონ რატომ ვერ მიხვდა, რომ პარკუჭანა შემძიმა? კინალამ ჩავიროქე. მართალია ხელს მაშველებდა, მაგრამ ნუთუ დრო არ არის კებით დავიშვენო ზურგი!

— დიდყურ, აბა ამას შეხედე! — ფიქრებიდან გამოაფხიზლა ვატომ ჩოკინა და თვალწინ წენელებისაგან მოწნული ქოჭი და-

უტრიალა, — ცხენს უნაგირს ადგამენ, ვერ კი ხვალ კობტა კებს დაგადგამ, ამ ქოჭში კოკებს ჩაგინყობ და წყაროს წყალი ამრეიტნოთ ხოლმე. ნახე, რა ლამაზად მოვწინა! — ვატომ ზურგზე ქოჭი შემოაგდო.

ნეტავ ასე ამისრულდეს ყველა ნატვრა, — დიდფრუტუნა დიდყურამ ქოჭის დანახვაზე და მადლობის ნიშნად ვატოს ხელები დაუორთქლა. აი, ალბათ, ეს არის გულისყური — ჩახვდა ჩოკინა. ქოჭმა დედის ნანა გაახსენა:

„დავაჟკაცდები ჩოკინო, გაგიმადრდება მუხლიო, ზოგს ამოუვა რქებიო, შენ დაიმშვენე კეხიო. ჩაები კეთილ შრომაში ზარმაცს დავცეს მეხი“.

აი მუხლი გაუმადრა და ხვალ კეხსაც დაიმშვენებს. დიდი მეხი დავცეს, თუ არ გაამართლოს დედის ნანა და გულმოდგინებით არ ზიდოს ცხოვრების ჩარხის ტრიალში წილადრებული საპატიო ტვირთი!



მშვენი ბარათია

მოგზაური


არდადეგები დაგვიღება,  
სამოგზაუროდ ვეწყობი.  
შარშან ვეწვიე ბიჭვინთას,  
წელს უნდა ვნახო კეჩხობი.  
მოვინახულებ მზეთამშენს—  
სულ რომ მზეა და დარია,  
მზეში რომ თეთრად ღივიღვებს  
მალდა მთა, დაბლა ბარია.  
არც ტაბლა მინდა, არც თუფში,  
ისეც ტკბილია საგზაღი...  
თან მურიკედას წავიყვან,  
რალად მჭირდება სხვა მგზაერი.



პირობი მტრამული

საბაო სოფელში

მზე მთებს ამოვფარა,  
ბინდი მოიპარება.  
მოაგორეს ურემი  
ძია მიხოს ხარებმა.  
პაპამ ღურჯა დაღლილი  
ხეს მიაბა აღვირით,  
ორლობეში ზმულით  
მოდის სოფლის ნაბირი.  
აგერ ჩემი ბებიაც  
ნახირს გამოვგება,  
ჰოფა, ცოტა ხნის შემდეგ  
კუჩიტი ყველი მექნება.





ჯუზას ნაღიჩაძე

მხატვარი ელზარდ აბოლაძე

## ქანდაკების აღმოჩენის ამბავი

მხატვრობას, რომელიც ათასწლეულების მანძილზე მღვიმეთა კედლებს ამშვენებდა და სულ მუდამ იქ იქნება გამოფენილი, ფრანგმა ხანაველებმა „უძრავი“ ხელოვნება უწოდეს, ადამიანის მიერ ნაქანდაკვე საგნებს კი — „მოძრავი“ ხელოვნება. მკვლევარებმა ისიც დაადგინეს, რომ კავის იარაღების მკეთებელმა კაცმა ქვაზე კვეთის საიდუმლოს უფრო ადრე მიავგო და მხატვრობაზე ადრე ქანდაკება შექმნა. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ ეს უძველესი ქანდაკებები ყველაზე ძვირფას და საყვარელ ადამიანს, დედას განასახიერებდა. როცა შემოქმედმა სიცოცხლის დამბადებელი დედის საზე ქვაში ვაიცოცხლა, თანამომძებმა იგი ღვთიური საიდუმლოების მფლობელად მიიჩინეს, ხოლო მის მიერ გამოქანდაკებული დედის სახე სიცოცხლის მომნიჭებელ ღვთაებად აღიარეს და საუკუნეების განმავლობაში ეთაყვანებოდნენ. ამას ასე დაბეჯითებით იმიტომ ვამბობთ, რომ არქეოლოგებმა მღვიმეების გათხრისას იპოვეს ქალის უაძრავი ქანდაკება. აქვე იყო ჩინებული ნაოსტატარი ცხოველთა ქანდაკებებიც.

კაცობრიობის ყრმობის ხანის დროინდელი მღვიმური ხელოვნების აღმოჩენა მსოფლიო კულტურის დიდი შენაძენი იყო. მაგრამ დიდხანს მიაჩნდა, რომ იგი მხოლოდ სამხრეთის ქვეყნებში მცხოვრები ხალხების კუთვნილება იყო. გავიდა წლები და ქვის ხანის ადამიანის მიერ შექმნილი ხელოვნების შესანიშნავი ნი-

შუშებს ჩრდილოეთის ქვეყნებშიაც მიაკვლიეს.

1920 წელს ირკუტსკის მახლობლად, სოფელ მალტაში რუსმა მეცნიერებმა აღმოაჩინეს ძველი ქვის ხანის ადამიანის სადგომი. მათ დაამტკიცეს, რომ მინაში წრიულად ჩასობილი მამონტის ძვლები იმ უძველეს ეპოქაში ნადირის ტყავით იყო შემოხლული. ამ მრგვალი კარგების შუაგულში (რომლის მსგავსი ასლაც აქედ ტუნდრის მაცხოვრებლებს) ცეცხლის კერები ღვიოდა. არქეოლოგებმა სწორედ კერების გარშემო იპოვეს ხელოვნების უძველესი ძეგლები: ერთ მინურში ეგდო ძვლისაგან გამოკვეთილი ფრინველის ფიგურა წვრილი, გრძელი ყელითა და გაშლილი ფრთებით — გაფრენილი გედის გამოსახულება. აქვე ნახეს მამონტის ეშვისაგან გამოკვეთილი ქალის ქანდაკება. სამხრეთული შიშველი ფიგურებისაგან განსხვავებით, ეს ბენვის ქურქიანი გამოსახულებაა. იპოვეს კიდევ ძვლის ფირფიტა ზედ ოსტატურად გამოკვეთილი მამონტის ფიგურით. ამ ოცდახუთი ათასი წლის წინათ ნაკვეთი ეს ფირფიტა ერთ-ერთი საუკეთესოა ძველი ქვის ხანის მხატვრების მიერ შექმნილ ნაწარმოებთა შორის. იგი საინტერესოა იმიტომაც, რომ მამონტი, რომელსაც ჩრდილოეთის სპილოც შეიძლება ვუწოდოთ, დიდი ხანია გადაშენდა. შორეულ წარსულში ეს გიგანტი რუსეთის დაბურულ ტყეებსა და ტრამალეებში დახვდებოდა — იგი სამი



ვლის შემდეგ ხელოვნების ისტორიამ ახას-  
 ნულულების სიღრმეში გადაინაცვლა. მაგ-  
 რამ უძველეს — მღვიმურ ხელოვნებასა და  
 შედარებით ახალ — შუამდინარეობას: მხატვ-  
 რობას შორის, სულ ცოტა, ექვსიათასი წელი  
 იდგა — და არსად ჩანდა იმ ხალხის შემოქ-  
 მედბა, ვინც პირველად სახლი ააშენა, ყანა  
 დათესა და ცხოველი მოიშინაურა. ერთი სი-  
 ტყვით, ჯერ კიდევ უცნობი იყო ახალი ქვის  
 ხანის, ანდა, როგორც ჩვენ ვუნოდეთ, ფიქ-  
 რის ეპოქის ხელოვნება. მეცნიერებმა ახლა  
 ამაზე დაიწყეს ზრუნვა, ისევ აიკრიფეს გუ-  
 და-ნაბადი, გზას დაადგნენ და, როგორც  
 იცით, მახლობელი აღმოსავლეთის ქვეყნებ-  
 ში მიაკვლიეს მინაში ჩაკარგულ უძველეს  
 სოფლებს, რომელთა არსებობა მანამდე  
 არავინ იცოდა.

საქართველოსა და სომხეთში, აზერბაი-  
 ჯანსა და შუა აზიაში, შუამდინარეთსა და  
 სირია-პალესტინაში არქეოლოგებმა ხელოვნ-  
 ნების ბევრი შესანიშნავი ძეგლი გამოამზეუ-  
 რეს. აქ ერთი აღმოჩენის ამბავიც უნდა გავი-  
 ხსენოთ. მდინარე ხრამის ნაპირზე, გეოი-  
 თეფეს გორაზე არქეოლოგიური გათხ-  
 რების დროს ერთი უძველესი ალიზის  
 ნაგებობის ნანგრევები აღმოაჩინეს. პა-  
 ტარა ბიჭმა, რომელსაც ნიკა ერეკა,  
 იატაკი ჯაგრისით გაასუფთავა, და გა-  
 მოჩნდა მცირე ქანდაკების ცხვირი და  
 ცალი თვალი, ეს ადგილი სიფრთხილით გა-  
 ასუფთავეს და ნახეს ბაზალტის ქვისაგან გა-  
 მოკვეთილი კაცის გამოსახულება, რომელსაც  
 დიდი, ბუკუნა ცხვირი, ყურებამდე პირი,  
 ირიბად გაჭრილი თვალები და სახესთან შე-  
 დარებით პატარა, მრგვალი თავი ჰქონდა. ეს  
 იყო ხელოვნების პირველი ნიმუში, რომელიც  
 საქართველოს გვიანი ქვის ხანის არქეოლო-  
 გიურ ძეგლებზე აღმოჩნდა. შემდეგ ქვემო  
 ქართლის ერთ უძველეს სოფელში, სადაც  
 ჩვენი წინაპრები შეიღ, რვა ათასი წლის წი-  
 ნათ ცხოვრობდნენ, იპოვეს შესანიშნავად ნა-  
 ხელავე ქალის ქანდაკებები. განსაკუთრებით  
 ლამაზია ხრამის დიდ გორაზე მოპოვებული  
 ქალის ქანდაკებები. ერთს ძალიან ლამაზი  
 სახე აქვს, ტანზე ჭრელი კაბა აცვია, რაც  
 წარმოდგენას გვიქმნის იმ უძველეს ხანაში  
 მცხოვრები ქალის ტანსაცმელზე.

მინათმოქმედი ხალხის მიერ შექმნილი  
 უძველესი შემოქმედება განსაკუთრებით გა-  
 ამდიდრა და გაალამაზა თქვენთვის უკვე  
 ცნობილმა ჩათალ-ჭურჭლის ხელოვნებამ. ამ  
 უძველეს სოფელში აგებული საკულტო ნაგე-  
 ბობები, რომლებსაც პირველყოფილი „ტამ-  
 მები“ შეიძლება ვუნოდეთ, მხატვრობითაა  
 მორთულ-მოკაზმული და იმ უხსოვარ დრო-  
 ში მომხდარ საინტერესო ამბებზე მოგვითხ-  
 რობს.

მეტრის სიმაღლისა იყო, გრძელი ხორთუმი  
 და დიდი, თეთრი ეშვები ჰქონდა, ზოგი რვა-  
 ათას კილოგრამს იწონიდა. ამიტომ მისი მო-  
 ნადირება ჩრდილოელი ადამიანის ოცნება  
 იყო. ერთი მამონტი რამდენიმე ოჯახს მთელ  
 ზამთარს ყოფნიდა და მიუხედავად იმისა,  
 რომ გამძვინვარებულ ცხოველთან ბძო-  
 ლის დროს ბევრი მონადირე იღუპებოდა,  
 ადამიანი თავისას არ იშლიდა. ან კი რა უნდა  
 ექნა, იმ დროს ხომ კაცი თავს ნადირობით  
 ირჩენდა და ნადირს თუ არ მოკლავდა, ზამ-  
 თარში შიმშილით სიკვდილი ემუქრებოდა.  
 მამონტი ადამიანის სალოცავი ცხოველი იყო  
 და ამიტომ იგი ქვასა და ძვალზეც კვებდა  
 მას და ხატავდა კიდევ. ჩრდილოეთის ქვეყ-  
 ნებში მცხოვრები ძველი ქვის ხანის ადამიან-  
 ნები მხატვრობაშიც კარგად იყვნენ განა-  
 უფლნი. ამის დასტურია სამხრეთ ურალში,  
 მდინარე ბელოეს მარჯვენა ნაპირზე მდებარე  
 კოპოვაიას მღვიმის მხატვრობა. კედელზე  
 ცხოველების ულამაზესი ფიგურებია გამო-  
 ხატული: მამონტები, მარტორქები და გარე-  
 ული ცხენები ერთმანეთის გვერდიგვერდ  
 დგანან და ცოცხლად წარმოგვიდგენენ შორე-  
 ულ წარსულში მცხოვრებ, ან უკვე გადაშე-  
 ნებულ, ღონიერ და გიგანტური აღნაგობის  
 ცხოველებს.

ძველი ქვის ხანის ხელოვნების აღმოჩენა-  
 მდე კაცობრიობა უმთავრესად შუამდინარე-  
 თის, ეგვიპტისა და საბერძნეთის მხატვართა  
 შემოქმედებას იცნობდა. მღვიმეების შესწა-



პიორაზი შეთიაშვილი

## სანებარე აუზი

ყოყინია გარშემო:  
— წინ! წინ! წინ!  
იმ კვედელთან ბავშვებო,  
ვინ მიასწრებს, ვინ?  
აჩქაფუნდა წყალი,  
აბა, მარდად გაუსვით!  
არ დაჰკარგოთ წამიც,  
გადანცურეთ აუზი.

რა კამარას კნავენ,  
მოიქნევენ მკლავებს,  
და ხალისით სავე  
შბეც დაჰხარით თავზე.  
ჩქარა, ბიჭო, ჩქარა,  
ვინ იმარჯვებს, ვინ?  
ხედავთ, სულ პატარა  
გიგლა მიჰქრის წინ!

როლაჟ თაყვორაშვილი

## ჩაშვი გაუი

დაემსგავსა ჩემი ბალი  
მზით მონატურ დამაზ სურათს,  
აქ—ლილიღ, იქ—ენძელა,  
კორიოტა, ფურისულა,  
უჰ, იმენი ყვავილია,  
ყველა როგორ ჩამოვთვალა.  
გაიხარე ყვავილნარო,  
პატარებმის ნატვრისთვალა!



## ნერილი

ჩვენი პატარა მეგობრებო, ბავშვებო! დარწმუნებული ვართ, რომ თქვენც ისევე გიყვარვართ, როგორც ადრინდელი თაობების ყველა პატარას. ალბათ არც კი იძინებთ უჩვენოდ. უფროსები ძილის წინ უთუოდ მოგითხრობენ ხოლმე ჩვენს საოცარ თავგადასავლებს.

ისიც იცით, რომ ჩვენ, — ზღაპრების გამომცემი, ტყეში ვცხოვრობთ; ტყე ჩვენი სახლკარია, მაგრამ, ვაი რომ სულ უფრო და უფრო მცირდება — ნაწილს ადამიანები ჩეხვენ, ნაწილი ხანძრის მსხვერპლი ხდება... ამის გამო ძალიან გვიჭირს. თუ ტყე მოისპო, ხომ ჩვენც გავქრებით, რა გეშველება მაშინ თქვენ, როგორ გაძლებთ უჩვენოდ?

ბავშვებო! რა იქნება, რომ მოგვიაროთ და გავგიფრთხილდეთ! ჩვენც ხომ გვყავს თქვენისთანა პატარები, ჩვენც ხომ ვიცით სიხარული და სევდა; აბა, თუნდაც შვლის ნუკრის მწუხარება გაიხსენეთ, როდესაც ბოროტმა კაცმა დედა მოუკლა.

როდესაც ამ სტრიქონებს გნერთ, პატარა შვლის ნუკრი კვლავ ცხარე ცრემლებს ღერის, მეფე-ლომი იდაყვდაყრდნობილი ჩაფიქრებულია და მძიმედ ოხრავს, ნასვამი თავუნია და ვლურს აღარ უვლის, ფრინველებიც აღარ გალობენ.

ჩუ, ეს რა ხმა ისმის, რა ყიფინი და სიმღერა?!

ხედავთ, ჩვენი გულისტკივილი ბავშვებს გაუგიათ და აქეთ მოემართებიან, ნითელქუდას ბებიაც თან წამოუყვანია, მგელი ისეთი აღტაცებულია მათთან შეხვედრით, მეტი არ იქნება. აგერ ყურცვიტაც მოცუნცულდა, ციდან გრძელკისერა წერო ჩამოფრინდა, მგელმა სიყვარულით ჩაიხუტა მკერდში, ახლა გაახსენდა ყელში გაჩხერილი ძვალი რომ ამოაცალა და დახრჩობას გადაარჩინა. კურდღელმა, ნითელქუდამ, წერომ და მგელმან წრე შეკრეს და ხორუმი გააჩაღეს, ბებო კი ილიმება და ტაშს უკრავს.

აი, საოცრებაც! ძალღი, კატა და თავი ფოთლებზე კოტრილობენ, ეს გაიძვერა კუდფუმფულა მელაც შემოუფრთათა. თავუნია ისეთი კინტაური დაუარა, „ჩხიკვთა ქორნილში“ რომ იცეკვა. მუსიკის ხმაზე მთელი ტყის ბინადარი აქ შეგროვდნენ, ისეთი ტაშ-ფანდურაა, მთებიც კი ხანზარებს.

ხის დაბალ ტოტებზე ფრინველთა მეფე



არნივი შემოჯდა ახალი ჩოხა-ახალუხით, —  
ბედნიერება ბავშვებსო! — დასჭყვილა და  
თუთიყუშს დაავალა, ახლავე ბულბული მომ-  
გვარე, ჩვენი სტუმრებისათვის კონცერტი გა-  
მართოსო.

აგერ დათუნაც! თაფლით საუსე კასრს მო-  
აგორებს, ბავშვებს უნდა გავუმასპინძლდეთ.  
იმის მძას — თეთრ დათვის კი ნაყინი გაუკუ-  
თებია და პინგვინებს ხონჩებზე უნყობს, რომ  
ბავშვებს სათითაოდ ჩამლურიგონ.

ფუფუშა ბრძანება გასცა, ტყის ხილი მი-  
ართვით ჩვენს პატარებსო. მოაქვთ და მო-  
აქვთ ციყუნებს მარწყვი და ყოლო, პანტა  
და მაყვალი, და ვინ მოთელის რა არა... ქორ-  
ბულა ირემს უხარმანხარ რქებზე ტყის ნობა-  
თით საუსე კალათები ჩამოუკონინალებია,  
შვლებიც ფუხდაფუხ მოჰყვებიან. ეს ტუტუცი  
ლრუტუნები კი როკს ეძებენ, არ იციან, რომ  
ბავშვებს რკო არ უყვართ. ცხოველების საკ-  
რებულში მაუგლის მეგობარი, დიდხორ-  
თუმა სპილო პატიც გამოჩნდა, ზურგზე შვიი  
ავაზა ბაგირა აზის, წყლიდან თქვენი ნაცნო-  
ბი ბეჭეც ამოვიდა, ნიანგი გენაც თან მო-  
ჰყვება. აგერ რწყილი და ჭიანჭველაც გამო-  
ცხადდნენ; შეხეთ, თხა და გიგო ერთად კით-  
ხულობენ „დედაენას“. მალალი ბურქებიდან  
ფირფეს ამოუყვია თავი — ზემის მეთვალყუ-  
რობა აქვს დაეალებული. გახარებულმა სა-  
ხედარმა ისეთი ხმით იყროყინა, ცა და მიწა  
შეძრა. ამ ხმაზე ერთი უშველებელი, პანჯგე-  
ლიანი დევი გამოჩნდა, ყველას თავი დაუკრა  
და კოცონთან მიმჯდარ ნაცარქვიას რომ  
მოჰკრა თვალი, გულიანი სიცილი აუტყ-  
და, — როგორ იყო, ქვის მაგივრად ყველი  
რომ განუორ და დამაფრხთეო, — შკითხა —  
ახლა კი ყველანი ჩემს ხელისგულზე  
ამობრძანდით, ისეთი სანახაობები გარე-  
ნით, ეშმაკის ბორბალი დაგაეინყდეთო. ბავშ-  
ვები, მხეცები და ფრინველები ჟივილი-ზივი-  
ლით შეცვიდნენ დევის ფუხბურთის მოედნის  
ტოლ ხელისგულზე და შერი, მაღლა ზეცისა-  
კენ წავიდნენ.

ლამაზი ტყეებისა და მთების ცქერით გუ-  
ლი რომ იჯერეს, დევმა ყველანი უვნებლად  
დააბრუნა მიწაზე.

ამასობაში შებინდდა კიდევც. მზემ ღიმი-  
ლით ჩამოსძახათ: „ჩიტმა თავის ბუდე იცი-  
სო“, და მთას მოუფარა. ყველამ თავის სახლ-  
კარს მიაშურა, დევიც სადღაც გაუჩინარდა.

ეს დიდი ზემი ბავშვებისა და ზღაპრის  
გმირებისა ტელევიზიითაც გადაიღეს და აღ-  
ბათ მალე გიჩვენებენ.

მოდით, ბავშვებო, თქვენც ხშირად გვეს-  
ტუმრეთ ტყეში, ჩვენთან ერთად მოუარეთ  
მას, რადგან ჩვენ სხვაგან ცხოვრება გვიჭირს,  
თქვენ კი უჩვენოდ სიცოცხლე არ შეგიძ-  
ლიათ.



# ქეთი-ქეთი-ქეთი

ღურჯი წინსაფარი შენის და ბაბთები—თეთრი. სახლში დახტის, როგორც შველი ქეთუნია—ქეთი. მაგიდის ქვეშ ტახტი დადგა კოხტა, პაწაწინა და ქაფქირი თოჯინასთან ერთად დააწვინა. თქვა:—დელიკო ვიდრე მოვა, სახლსაც მივალაგებ. დაურტყხავს არ დავტოვებ ფარდაგებს და ფარეებს. ოთახი და ღერეფანი აამტვერა ტიღოს ფერთხვით, თან ლიღინებს:—ანი, ბანი, მადღობის მეთს ვინ რას მეტყვის, წყალს ჩავასხამ მწვანე ქვაბში, ქათამია მოსახარში! შესაწვავი—ორი ძეხვი... ორიც ტაფა—გასახეში! სამი თარო—ასაწვევი, დასალეპი—ერთი კვეცი. მე ყვე-ღა-ფერს მო-ვე-რე-ვი! მოელრუბდა უცებ სახე, ძლივს მიაგნო ჯაგრა სახებს, რას აკეთებს, ერთი დახეთ! ღარნაკს ხეხავს ტაფის ნაცვლად... კიდევ რალაც მოიფიქრა, თვალს აცუცებს აცა-ბაცად... მთელი სახლი ააქოთა და ძლიერ რომ დაიქანცა, ფორთხვით შეძგრა მაგიდის ქვეშ, იმ ქაფქირს და იმ თოჯინას გგერდით ფრთხილად მიუწვა და დაიძინა...



თამარ კერესელიძე

## ცუვა

რა ძალი ჰყავს ციკქნა მაროს, რა უკვიანი ცუვა, რომ არავინ გააუჯგროს, დასდებს მუღამ უკან.







# სიტყვის ათნა

პარლ ანბანიძე

## გერეულა

ენის გამამდიდრებელი, შემოქმედი, უსოვარ დროსაც ერი იყო და ერი არის დღესაც. ერი ადამიანთა ერთობლიობას ნიშნავს, რაც ყოველგვარი ხელობის, პროფესიის, თანამდებობის ხალხს, ბავშვებს, მოხუცებს და, თქვენ წარმოიდგინეთ, უსაქმურებს, უვარგისებსაც მოიცავს. ალბათ ვინმე მიაგნებდა ხოლმე რომელიმე, ვთქვათ, მოვლენის, საგნის სახელს და მერე საუბარში გამოიყენებდა. ხალხს თუ მოეწონებოდა, ანუ იმ მოვლენის, საგნის თვისებას ან დამახასიათებელ ნიშანს მიუსადაგებდა, — დაიმახსოვრებდა, არადა, ივიწყებდა. ვიდრე არ მოეწონებოდა, ერთთავად ახლის, შესატყვისის ძებნაში იყო.

თავდაპირველად ამა თუ იმ საგნის სახელს, ბუნებრივია, ერთმა ადამიანმა მიაგნო და შემდეგ გაერცელდა კიდევაც. მაგრამ ახლა რომელიმე სიტყვას რომ გაცყვით და მისი თავდაპირველი მთქმელის მიგნება მოვიწინდინოთ, წამდივლად სასაცილო იქნება, ვინიდან ასეთი რამ შეუძლებელია. თუმცა ყოველდღიურ საუბარში ზოგიერთ ისეთ სიტყვასაც ვხმარობთ, რომლის ლიტერატურულ ენასა და ზეპირმეტყველებაში შემოტანი ცნობილია. იქნებ ბევრმა არ იცოდეს, რომ სიტყვა შინაბარსი ილია ჭავჭავაძემ დაამკვიდრა, მოცხარი — ვაჟა ფშაველამ, ლინდლბი — ნიკო ნიკოლაძემ, ძვემბესი — კონსტანტინე გამსახურდიამ... კიდევ ბევრი მაგალითის მოტანა შეიძლება, მაგრამ ამჟამად ესეც საკმარისია.

როგორც უკვე ვთქვით, ზოგიერთ საგანს, ნივთს გარეგნული ნიშნის მიხედვითაც ჰქვია სახელი — საამისო მაგალითიც ბევრია.

ჩვენს ყოველდღიურ ცხოვრებაში იმდენად ჩვეულებრივია ფეხსაცმელი, რომ ამაზე სიტყვის გაგრძელება არ ღირს. რაკი ყოველდღიურად ვხმარობთ ფეხსაცმელს, ბუნებრივია, მას ან საპირე გაერღვევა ან ქუსლი მოერყევა ანდა ლანჩა ასძვრება. ჯერ ისევ ახალიაო, — გადასაგებდ არ გვემეტე-

ბა და ხარაზთან მიგვაქვს. თუ გასაკერია — გაკერავს, დასანებებელია — დაანებებელია, ლურსმნით შემოსავლებია და შარსკრწინასკე იარაღს იმარჯვებს. ეს რკინის იარაღი ამობრუნებულ ტერფსა ჰგავს, — ხარაზი ზედ ფეხსაცმელს ჩამოაცვამს და ლურსმნით ქუსლს უმაგრებს. იგი იმიტომ არის აუცილებელი, რომ წამახული წვერი დაუნეკოს ლურსმნებს. ხარაზს რომ ჰქვითობთ, რა ჰქვიაო, მაშინვე გვიპასუხებთ, პასტანოვკაო, ზოგი იტყვის — პასტაკაო, სხვა შესატყვისი არ იცის. სიტყვა Подставка ასეა განმარტებული ლექსიკონში: ქვესადგარი, საყრდენი, შესადგამი, ბოძკინტი, კონკილა... არადა, მისი ზუსტი შესატყვისია — ტერფული. ამის შემდეგ კიდევ რომ მიიტანთ ფეხსაცმელს ხარაზთან, თუ გითხრათ ამ იარაღს პასტანოვკა, პასტაკა ჰქვიაო, შეუსწორეთ. მერე რა მოხდა, უფროსი თუა? ეწყინება და ძველი ანდაზა შეახსენეთ: — სწავლა სიბერემდეო.



### ხალხური ზღაპრების მოჭირნახულენი

«არ გვეგულება იმაზე უფრო მშვენიერი და სასარგებლო წიგნი, ხალხმა რომ შექმნა, დროა ვიზრუნოთ ძველი თქმულებებისა და ზღაპრების გადარჩენაზე, რათა ისინი არ გაქრნენ როგორც ნაპერწყალი ჭაში ანდა ცვარი მცხუნვარე მზეზე».

ეს სიტყვები ეკუთვნის ძმებს იაკობ და ვილჰელმ გრიმებს, ვინც მრავალი წლის პეჯითი და გულმოდგინე შრომით შეკრიბეს თავიანთი ეროვნული—გერმანული ხალხური ზღაპრები, და ბავშვებისათვის გამოსცეს. მათი წიგნებიდან შემოიჭრნენ თქვენს სამყაროში ყველასათვის ცნობილი წითელქუდა, ცეროდენა, ბრემენის მუსიკოსები...

წელს მთელ მსოფლიოში აღინიშნება მეზღაპრე ძმები გრიმების ორასი წლის იუბილე. გთავაზობთ მათ ერთ-ერთ ზღაპარს.

ძმები გრიმები

### ხსარკის მსხვერპლი

სამოგზაუროდ წასული მეგობრები — თერძი და ოქრომჭედელი ერთ ხეობას მიაღგნენ. უკვე გვიან ღამე იყო, მაგრამ მთვარე ისე კაშკაშებდა, რომ ყველაფერი ხელისგულივით ჩანდა. უცებ შორიდან საამური სიმღერის ხმა შემოესმათ და თუმცა ძალიან დაღლილები იყვნენ, გზა ხალისით განაგრძეს. მთვარის შუქზე ერთ ბორცვს მოჰკრეს თვალი, ზედ რაღაც მოძრაობდა. მიუახლოვდნენ და ხალხი დაინახეს. ოღონდ ჩვეულებრივი ადამიანები კი არა, ბავშვებივით ტანმორჩილი მშვენიერი არსებები. მათ ფერხული ჩაუბათ და მღეროდნენ. წრის შუაგულში მოხუცი იჯდა, სხვებზე მოზრდილი იყო ტანად და სახეს გრძელი, თოვლივით თეთრი წვერი უმშვენივდა. მეგობრებმა ჯერ ერთმანეთს გადახედეს გაოცებით. მერე ისევ მოფერხულეებს მიიხმო ისინი თავისთან. წრე გაირღვა და ოქრომჭედელი მამინე თამამად შევიდა შიგ, თერძიც ფეხდაფეხ მიჰყვა. შემდეგ წრე ისევ შეიკრა და ცუკვა და სიმღერა გაგრძელდა. მოხუცმა დანა აიღო და გალესვა დაუნყოფ. ორივე მეგობარი შიშმა შეიპყრო. მოხუცმა ჯერ ოქრომჭედელს სტაცა ხელი და სასწრა-



ფოდ თმა და წვერი გაპარსა, მერე თერძაც ასევე მოექცა. ამის შემდეგ თავი თავაზიანად დაუკრა, თითო ნახშირის გროვებზე ანიშნა და ხელების მოძრაობით მიახვედრა: „ჯიბებები ნახშირით აივსეთო!“ გაკვირვებულბმა მყისვე შეასრულეს მასპინძლის თხოვნა. ოღონდ ოქრომჭედელმა უფრო მეტი ნახშირი აიღო, ვიდრე თერძმა. მერე ბორცვი მიატოვეს და ისევ ველზე გავიდნენ. ამასობაში სოფლის ეკლესიის საათმა თორმეტჯერ დაარეკა. სიმღერა შეწყდა. მთვარის შუქით განათებულ ბორცვზე სიჩუმემ დაისადგურა.

მეგობრებმა ღამის გასათევად ფუნდუკი მონახეს, ჩალის საგებზე დანვნენ და ხიფთანები დაიხურეს. ისე იყვნენ დაღლილები, რომ ჯიბებიდან ნახშირის ამოღების თავიცი კი აღარ ჰქონდათ. მაგრამ უჩვეულოდ დამძიმებული ჯიბებისაგან შენუხებულებს დილით ადრე გამოეღვიძათ. ჩაიხედეს შიგ და შოი, საოცრება! ჯიბეში ნახშირის ნაცვლად ოქრო ედოთ! ისიც საკვირველი იყო, რომ თმა და წვერიც ისევ ჰქონდათ!

ახლა ისინი მდიდრები იყვნენ. მართალია, თერძს იმდენი ოქრო არა ჰქონდა, რამდენიც ოქრომჭედელს, მაგრამ მაინც კმაყოფილი იყო. ოქრომჭედელს კი, სიხარბის გამო, ენადა აურაცხელი სიმდიდრე ჰქონდა. თერძს უთხრა: მოდი, ამ საღამოს კიდევ ერთხელ წავიდე ბორცვზე, მოხუცისაგან უფრო მეტი ოქრო ნამოვიღოთო. მაგრამ თერძმა უარი უთხრა: „თუ გინდა, მარტო შენ წადი, მე რაც მაქვს, ისიც შეყოფა. ახლა შემძლია ოსტატი გავხდე და ოჯახი შევქმნა“.

ოქრომჭედელმა ხიფთანზე კიდევ რამდენიმე ჯიბე დაიკურა და მოსალამოვდა თუ არა, ბორცვისაკენ გაეშურა. იქ ისევ ისეთი სურათი დახვდა. პატარა არსებები მღეროდნენ და ცეკვავდნენ, მოხუცი კი წრის შუაგულში იჯდა. მან ოქრომჭედელს კვლავ გაპარსა თმა და წვერი და ნახშირი უბოძა. ოქრომჭედელმა იყარა და იყარა ჯიბეებში, სანამ პირთამდე აეცხებოდა. შინ კმაყოფილი დაბრუნდა, ფიქრობდა, ახლა აი, რა მდიდარი ვარო! დანვა დასაძინებლად. თან ხიფთანიც დაიხურა. დილით ადრე გაიღვიძა და მოუთმენლად ჯიბეებს ეცა. მაგრამ იმედი გაუტრუვდა! ჯიბეებში ისევ ნახშირი იყარა! შიშმა აიტანა და თავის დასამშვიდებლად გაოფიქრა: „გუშინ საღამოს მოპოვებული ოქროები ხომ მაინც მაქვსო!“ გადაწყვიტა თვალი შეველო მათთვის, მაგრამ სადღა იყო ოქროები! ისინიც ისევ ნახშირად ქცეულიყვნენ. მსუხარემ ხელები თავზე წაივლო და, აი, კიდევ ახალი ელდა! თმის ნასახი აღარ გააჩნდა, თავი მთლად გამეღობებოდა. თა-



მხატვარი ბაქო ხილაშვილი

ნაც ზურგზე კუზი ამოსვლოდა! ოქრომჭედელი ხმამაღლა ატირდა და გაღვიძებულ თერძს ყვლაფერნი დაწვრილებით უამბო. თერძმა ანუგეშა: „შენ ჩემი მეგობარი ხარ, დარჩი ჩემთან! ჩემს სიმდიდრეს გაგიყოფო“.

შეასრულა კიდევ თავისი სიტყვა. ოღონდ ეს კია, — ოქრომჭედელს მთელი თავისი სოცოცხლე კუზითა და მელიტო თავზე ჩამოხობილი ქუდით მოუნია სიარული.

# ქალაქი დაქალაქი პატარა ბავშვილები

- ჰო, დაგვარგე.—მიუგო გოგონამ.
- მერე კარებში რატომ დგახარ?
- აქ გამოივლის და მიპოვნის.
- აი ყუყური.—გაიკვირვა ღაშამ,—ამ უნივერსიტეტის რვა კარი აქვს, რა იცი რომელში გამოვა? წამომყევი.
- ღაშამ გოგონას ხელი ჩასჭიდა და უნივერსიტეტის რაიონკვანძში მიიყვანა.
- მადე ოთხივე სართულზე გაისმა დიქტორის ხმა.
- პატარა გოგონა ქეთინო, რომელიც დედას ჩამოჩნა, ელოდება მას ჩვენი რაიონკვანძის ოთახში, შეორე სართულზე.
- ცოტა ხანში აცრემლებული ქეთინოს დედა მკერდში იხუტებდა ღაშას და მადლობას უხდოდა.
- ღაშამ უდავოდ კარგი, მოსაწონი საქციელი ჩაიღინა, მაგრამ რალაც შეცდომა დაუშვა.
- ხომ ვერ მიხვდებით, რა?

პიონერი ღაშა ერთხელ ფანქრების საყიდლად ოთხსართულიან უნივერსიტეტში შევიდა, კარებთანვე შენიშნა ატვირებული პატარა გოგონა.

— რა გაღრიადებს, შე უტვირთვ.— შეუტია გოგონას,—დედა ხომ არ დაკარგე?



ბიძინა ჯანყარაშვილი

## სოფლის დიდა

ერთხელ დედამ დიდი ადრე გამაღვიძა, გადამკოცნა, ადგე, შევიღო, გენაცვადე, შივაშურით ბაღს და ბოსტანს! სარევეებს გამარგვლაში შევაშველოთ ერთურს ხელი, დიდა გვიხმობს, უპ, რა მზეა, აფერადდა მთა და ველი!



მალბრი ჯინზარამი

გუშინ ცხენები ჩამოიყვანეს მთიდან ჩემმა ბიძაშვილმა გოგამ და იაკინთე ცხველიანმა. გოგას თავზე „შლაპა“ ეხურა, იაკინთეს არაფერი არ ეხურა და ხელში მათრახი ეკირა.

— კი, გოგია ახალგაზრდა და აფრენს, შენ რალამ ავაცუნდრუკა, შენ ხაცოდავო, რალა დროს შენი ცხენებზე პრინცილიაო! — დაუცახანა იაკინთე ცხველიანს მისმა ცოლმა, პელაგია ბიცოლამ. იაკინთემ არაფერი უპასუხა, ცხენს მათრახი გადაჰკრა და შარავზე გააქენა, თან ჩექმის ქუსლებს ურტყამდა ფერდებზე. ჩემი ბიძაშვილი გოგავი უკან მიჰყვა.

— კაცების მეტი რა იყო ქვეყანაზე, რალა ეს შემახვედრე, ღმერთო, — თქვა პელაგია ბიცოლამ და ჰიშკარში შევიდა.

დავრჩი მე მარტო. ვხედავ: შემოაბრუნეს ცხენები გოგამ და იაკინთემ მალაზიასთან, ახლა აქეთ გამოაქენეს. გოგამ გამოსაწრო, ცოტათი წინ წამოვიდა და რომ მომიახლოვდა, უაღუყე შეაყენა, გააჩერა. მთლად სველი იყო გოგას ცხენი, დალილი. ნესტობიდან ოხშივარს უშვებდა, თავს აწნევდა და პირში ამოდებულ ბაწარს ღებავდა. იაკინთემ გვერდით ჩაგვიქროლა და ტირიფებისკენ გააქენა.

— ახლოს მოდი, ნუ გეშინია, — დამძახა გოგამ.

სულ არ მეშინოდა. მივედი ახლოს. გოგამ ამიყვანა და ცხენზე შემისხა, „აჩუ, აჩუ,“ — დამძახა და წავედით ჯერ ნელა, თოხარიკით, მერე კი უცებ გავაქენით. მე ფაფარში ვიყავი ჩაქვიდებული და წინ ვიყურებოდი. მალე იაკინთე შემოგვხვდა და გოგას დაუძახა:

— ცოტა ხანს კიდევ ვაქენით და მერე გავუშვათო!

— კარგო, — უპასუხა გოგამ.

ამასობაში სოსიამ ჩამოიარა, ჩემმა ამხანაგმა, და დამინახა, ცხენზე რომ ვიჯექი. მეტს არავის ჩამოუვლია. სოსია პირდაღებული მიყურებდა. მე ცალი ხელი გავუშვი ფაფარს და სოსიას ავუწიე.

ტირიფებთან რომ მივედით, იაკინთე ცხველიანმაც მოაქენა თავისი წითურა.

— გავუშვებ, აწი, ამას, თორემ სახლში აღარ

მიმიშვებს პელაგია, — ჩამოქვეითდა იაკინთე ცხველიანი, მოხსნა ბაწარი ცხენს და მხარზე გადაიკიდა, — უჰ, კაია ცხენი, კაია!

— ღელემდე ჩვენ ვავირეკავთ წითურას და მერე მთისკენ შევუძახებ ორივეს, დაღამებამდე ფარაშიც მივლენო, — უთხრა გოგამ.

ღელეში ჩვენს ცხენსაც მოგხსენით ბაწარი და გავუშვით. დაფეთებულნი გაიქცენენ აღმართში ორივენი, მე კი სულ სველი მქონდა შარავლი.

— ახლა წვიმა რომ დაიწყოს, გაცივდებიან და მოკვდებიან ის ცხენები-მეთქი, — ვუთხარი გოგას. გაეცინა: ნუ გეშინია, არ მოვა წვიმაო! ახლა, სკოლაში რომ მივალ, ნათიას მოვუყუვები, ცხენზე როგორ ვიჯექი. თუ არ დამიჯერა, სოსიას მკითხებ, — იმან დამინახა-მეთქი, — ასე ვიტყვი.



17. 9. 73

ს.კ. სსრ კ. მარქსის  
სს, სს, რესპუბ.  
ბაზალის თემს



მზე შინა და მზე გარეთს,  
 მზევ, შინ შემოდით.  
 უუფელია მამალსაო,  
 მზევ, შინ შემოდით.  
 გათენდი, თუ გათენდები,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 მზე დაწვა და მთვარე შობა,  
 მზევ, შინ შემოდით.  
 ჩვენ ვაჭი დაგვბადებია,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 დუშმანსა ქალი ჰგონია,  
 მზევ, შინ შემოდით.  
 ვაჭის მამა შინ არ არი,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 ქალაქს არის აკვინსთვინა,  
 მზევ, შინ შემოდით.  
 ვაჭის მამას მოუსდება,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 თეთრი კაბა ატლასისა,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 ცხენზე ჯდომა, ჯირითობა,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 უბანს სროლა, ბურთობა,  
 მზევ, შინ შემოდით.  
 მზევ, შემოდი ბაკებსაო,  
 მზევ, შინ შემოდით,  
 ცხვარს დაგიკლავ მაკესაო,  
 მზევ, შინ შემოდით!



## ქორმა წაიღო ვარია


ჰარია, მადლა დარია,  
 ქორმა წაიღო ვარია,  
 წამოდი, გაუბედებინოთ,  
 ცოცხალია თუ შეკვდარია.





# თავსუსხი

დააკვირდით აქ დახატულ სახლებს. თითოეული სახლის ორ ფანჯარაზე, სამარცხულზე და ქარზე წერია გარკვეული წესით შერჩეული რიცხვები. ვილაცას მესამე სახლის ქარზე დაწერილი რიცხვი წაუშლია და მის ნაცვლად კითხვის ნიშანი დაუსვა. ხომ ვერ დაადგენთ, რა რიცხვი ეწერა მესამე სახლის ქარზე?



## ზომა სხვანაძი

ხან თხევადია, ხან მეარი,  
 ხან ორთქლად გარდაქმნება...  
 ხან ციდან კადმონაღვარი  
 მოკვევლინება ფიფქებად...  
 ვინც დაფიქრდება, უმაღვე  
 მიხვდება, თუ რა იქნება!..

## № 6-ში დაბეჭდილი ამოცანის პასუხი

პაატა ასე მსჯელობდა: „მარო ბებოს ერთი კვერცხით ნაკლები რომ წამოეღო ბაზარში, ცხადია, მათი ორ-ორად დათვლაც შესაძლებელი იქნებოდა, სამ-სამადაც, ოთხ-ოთხადაც და ხუთ-ხუთადაც. ყველაზე პატარა რიცხვი, რომელიც უნაშთოდ იყოფა 2-ზეც, 3-ზეც და 4-ზეც, 12-ია. თუ 12-ს 5-ზე გავამრავლებ, ეს რიცხვი 5-ზედაც უნაშთოდ გაიყოფა. 5-ჯერ 12 არის 60. ეს 100-ზე ნაკლები ერთადერთი რიცხვია, რომელიც 2-ზეც უნაშთოდ იყოფა, 3-ზეც, 4-ზეც და 5-ზეც. ახლა კიდევ ის ერთი კვერცხი, მარო ბებოს სახლში რომ „დავატოვებინე“, და სულ იქნება 61“.



საქართველოს ალკე ცყ-ისა და ვ. ი. ლენინის სახელობის პიონერთა ორგანიზაციის რესპუბლიკური საბჭოს ეურნალი უმცროსკლასელთათვის.

გამოცემის 1927 წლიდან. საქ. კ. ცყ-ის გამოცემლობა.

მთავარი რედაქტორი  
 ივანე ნინუაშვილი

სარედაქციო კოლეგია: მშპარე პაპიაშვილი, ილია ანთოლაძე, ზორა ზაქარაიანი, სოლომონ ლომოვანი, ზორა ზაქარაიანი, ლეონიდა შიშინაძე, მანანა კობახიძე, გელა ლომოვანი, მანანა მამიაშვილი, გურამ ნაღვლიანი, გიორგი რომიშვილი (სამხატვრო რედაქტორი), თინათინა ხალაშვილი (პ. მ. მღვანე), პიპი კახიანი, პიპი პიპიაშვილი, მანანა ხაჩიანი.

ტექნიკური რედაქტორი  
 ენდი წერეთელი

მისამართი: რედაქციის, გამოცემლობის, სტამბის—თბილისი, ლენინის, 14. ტელ. ში. რედაქტორის 92-41-80, 92-92-15; პ. მ. მღვანის 92-10-82, 92-92-16; სამხ. რედაქტორის — 92-92-18; განყოფილებების: 92-92-19; 92-92-17.

გაზეთი ასაწეობად 29. 04. 85 წ., ხელმოწერილი დასაბეჭდად 25. 06. 85 წ., ქალაქის ზონა 80 90/წ. ფაზ. ნაბ. ფურც. 2,5, ტირაჟი 165.000, შეკვეთა 1907.

უმაღვე ნახატო სურათი  
 ივანე ნინუაშვილისა

«Дилла» («Дитро»), ежемесный журнал ЦК ЛКСМ Грузии и Грузинского Республиканского Совета Всесоюзной пионерской организации им. В. И. Ленина для младшеклассников, на грузинском языке. Отпечатано в типографии издательства ЦК КП Грузии. Главный редактор Эмвер Нишарაძე (тел. 93-41-30). Адрес редакции и издательства: 380096, г. Тбилиси, ул. Ленина, 14. Объем 2,5 печатных листа, тираж 168.000. Заказ № 1007

659/94



ნახატი ნანა იოსელიანისა

ამ ნახატზე ხედავთ სამი კონტინენტის და ერთი დიდი კუნძულის მოხაზულობას, და ცხოველ-ფრინველებს, რომლებიც ამ იდეალებში ბინადრობენ.

აბა ვის რა ჰქვია და ვინ სადაური მცხოვრებია?